07.10.2014 წ.

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 26 სექტემბერს მოგმართეთ განცხადებით სარეკლამო აბრის განთავსებისთვის თანხმობის გაცემის თხოვნით. ამ განცხადების მიხედვით, მსურდა სხვადასხვა ადგილას აბრის განთავსება და ამიტომ შემოვიტანე ორი განცხადება, თუმცა ორივეზე მომივიდა უარყოფითი პასუხი.

ქ. თბილისში, გუგამიშვილის გამზირის # 29 ნომერიში მდებარე უძრავი ქონების პირველი სართული აღებული გვაქვს იჯარით და ვაპირებთ სუპერმარკეტის გახსნას. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე, შპს „მერიდიანი XXI"-ს მესაკუთრე თანახმა არის, რომ ჩვენ განვათავსოთ სარეკლამო აბრა, თუმცა არქიტექტურის სამსახური უარს ამბობს თანხმობის გაცემაზე, იმ მიზეზით, რომ არსებული შენობის ვიზუალიზაციის ცვლილება არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. თანხმობის გაცემაზე უარის გამო ვერ ვახერხებთ სუპერმარკეტის გახსნას.

ზედმეტი იქნება იმაზე საუბარი რამდენად მნიშვნელოვანია რეკლამა ბიზნესის მარკეტინგული ინტერესებისთვის, ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული დასაქმებულთა რაოდენობა და დამატებითი შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ ვერ განხორციელდა მომხმარებლის ინფორმირება რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებას იწყებს შპს ,,ფურშეტ ჯორჯია", დიდი ალბათობით ვერ შევძლებთ შემოსავლის გაზრდას იმდენად რომ შევძლოთ აღნიშნულ ობიექტზე მუშაობა, უნდა აღინიშნოს რომ ჩვენ აღნიშნული ფართი იჯარით გვაქვს აღებული რაც არ არის უმნიშვნელო ფაქტორი გასაწევი ხარჯების კუთხით.

გარე რეკლამის განთავსება აუცილებელია მაღაზიის ფუნქციონირებისთვის. ეს სუპერმარკეტი ადრე ამ ადგილას განთავსებული არ ყოფილა, შესაბამისად საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის მისი არსებობის შესახებ, სწორედ ამიტომ არის აუცილებელი აბრების განთავსება ამ შენობაზე.

ვინაიდან ჩვენ მიერ შეთავაზებული ვარიანტები თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა, შესაბამისად შემოვდივართ თქვენს წინაშე თხოვნით მოგვცეთ რეკომენდაცია, შენობის რა ნაწილზე, რა ფორმატით მიგაჩნიათ მიზანშეწონილად განთავსდეს სარეკლამო აბრა. აბრის განთავსება რომ აუცილებელია ამას ვფიქრობთ მტკიცება აღარ სჭირდება.

მზად ვართ თქვენთან ერთად გავიაროთ აღნიშნული საკითხი რომ ერთობლივად და დროულად გადავწყვიტოთ ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი საკითხი.

პატივისცემით,

შპს ,,ფურშეტ ჯორჯიას" წარმომადგენელი

გურამ ლემონჯავა